სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №49

„ 15 “ „დეკემბერი“ 2016 წ.

ბოლნისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური” (მის: ქალაქი ბოლნისი სულხან-საბას 106) წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ გაბიძაშვილის სახით (აქ და შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შპს D&G GROUP (დ და ს ჯგუფი) დირექტორის ზურაბ ლაზარეშვილის (მის: ქ. ბოლნისი დ. აღმაშნებლის 1ა) სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) საქართველოს მთავრობის 2011წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი ” უკვეთავს, ხოლო “შემსრულებელი” იღებს ვალდებულებას შეასრულოს 3 ერთეული ჰაიგერის ტიპის ავტობუსებზე შეკეთება ტექ. მომსახურება. (დანართი1)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 3480 (სამი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს

3. სამუშაოს შესრულების ვადა

4.1 „შემსრულებელი” მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2016 წლის 25 დეკემბრამდე.

4. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურეობა ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან გაწეული მომსახურეობის აქტის გაფორმებისა შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით. შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტისა და ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენის, შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშსზე .
5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 **„შემსყიდველი” ვალდებულია:**
ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს” გაწეული მომსახურების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„შემსრულებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10 ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახურის დირექტორი თეიმურაზ გაბიძაშვილი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება

11.2„შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „შემსრულებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4. „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

შპს„ბოლნიის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"

ს\კ 425358409 ა\ა GE78 LB0113134814550000

ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი ---------- \ თ.გაბიძაშვილი \

„შემსრულებელი "

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი)"

ს.კ 425358828

ს.ს. „ვითიბი ბანკი„

ა\ა GE67TB7962036050100001

ბანკის კოდი TBCBGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი ---------- ს. ლაზარეშვილი

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი)”

ს.კ 425358828

ფასების ცხრილი

15.12.2016 წ

კოდი	დასახელება	რაოდენობა	თანხა	სულ თანხა	მიწოდების ადგილი
50100000 ავტობუსების რემონტი და ტექ. მომსახურება	ზეთი ძრავის SHELL RIMULAR4X5w40	120 ლიტრი	14.00	1680.00	ქ. ბოლნისი
	საწვავის ფილტრი	12 ცალი	50.00	600.00	
	ზეთის ფილტრი430-1012020 B	6 ცალი	50.00	300.00	
	ჰაერის ფილტრი	3 ცალი	260.00	780.00	
	მომსახურეობა			120.00	
	სულ			3480.00	

„შემსყიდველი“

შპს„ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური”ს

დირექტორი თ. გაბიძაშვილი

„შემსრულებელი “

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი)”

დირექტორი ზ. ფაღარეშვილი